ღირებულებებისკენ, ისტორიული მეხსიერებისკენ, წინაპართა მიერ დატოვებული ფასდაუდებელი მემკვიდრეობის შენარჩუნებისკენ. უფრო მეტიც, ევროპაში სულ უფრო იზრდება მემარჯვენე განწყობა, კონსერვატიული პარტიების წარმომადგენლები ამომრჩეველთა სულ უფრო მზარდი მხარდაჭერით სარგებლობენ.

საქართველოში კი თითქოს ხელახლა უნდა გავიაროთ ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნების მწარე გზა - გაუცხოებული საზოგადოების გამოფხიზლების გზა. გამოჩდნენ ადამიანები, რომლებიც ვითომცდა დემოკრატიისა და ადამიანთა საყოველთაო უფლებების დაცვის მიზნით ებრძვიან ყოველივეს, რაც ოდნავ მაინც შეეხება ქართული ეროვნული მეხსიერების შენარჩუნებასა და საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის გაფრთხილებას. ყვითელ მასმედიაში მართლმადიდებლური ეკლესიისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი ბაკქანალია იყო გაჩაღებული ე.წ. „ვარდების რევოლუციის" წინა პერიოდში და გრძელდებოდა შემდეგ პერიოდში. ნაკლები ინტენსიურობით, მაგრამ ეს პროცესი დღესაც გრძელდება. გაურკვეველი ორიენტაციის ადამიანთა ერთი და იგივე ჯგუფი (საბედნიეროდ მეტად მცირერიცხოვანი, მაგრამ იეზუიტურად დისციპლინირებული და აქტიური) მანიაკალურად იბრძვის ქართული, ტრადიციული ფასულობების წინააღმდეგ. ეს ადამიანები, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარ თავს ქართველ ინტელიგენტებს და ზოგჯერ მართლმადიდებელ ქრისტიანებსაც კი უწოდებენ, სინამდვილეში კი წმინდა წყლის თანამედროვე ბოლშევიკები არიან. ეს ახალი ბოლშევიკები მომენტს არ კარგავენ, რათა ეკლესიას, საპატრიარქოს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საერთოდ მართლმადიდებლობას დაესხნენ თავს ნებისმიერი საბაბით. და ეს სრულებით ბუნებრივია.

საქართველოს ისტორია ხომ ფაქტობრივად სახელმწიფოსა და ეკლესიის განუყრელი, ჰარმონიული კავშირის, საერო და საეკლესიო ცხოვრების ერთიანობის ისტორიაა. კარგად ვიცით, რომ რწმენის გაძლიერება იწვევს სახელმწიფოს გაძლიერებას, ხოლო სახელმწიფოებრიობის შესუსტება ერში რწმენის შესუსტებაზე მიგვანიშნებს. საქართველოს ისტორიაში საეკლესიო და საერო ცხოვრება ისეა ერთი მეორეზე გადაჯაჭვული, რომ შეუძლებელია გადმოსცე ერთი მათგანის ისტორია, მეორის გარეშე. სწორედ ამიტომ „ნათესავი ქართველთა", როგორც ქრისტეს ცხოვრების წესის სარწმუნოების დამცველნი ჩვენს მატიანეში „ჯვარის მოსავად" ან „ჯვარის მსახურად" იწოდებიან „ჯვარის მტერთა" საპირისპიროდ. არსებითად ეს ზედწოდება - „ჯვარის მსახურნი" - ქრისტეს მხედრობას გულისხმობს, რომელთა ყოველი ბრძოლა ქვეყნის დასაცავად, ამავე დროს, საღვთო ომია.

აი, რამ გააძლებინა ერთ მუჭა ქართველობას ურიცხვი მტრის გარემოცვაში. თემურ-ლენგს კი ეგონა, რომ ღვინოში იყო ქართველობის ძალა და ვენახის ამოძირკვა ბრძანა. დღევანდელმა თემურ-ლენგებმა კი უკეთ იციან, რაშია საქართველოს, ქართველი ერის უკვდავების წყარო, აკი სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვებიც აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეკლესიას ენდობა („რომელიღაც იდუმალი გამოკითხვის შედეგებითო" ბრძანებს ყვითელი პრესა). და სწორედ ამ ნდობის ამოძირკვაა საჭირო: ეკლესიის დისკრედიტაცია, სარწმუნოების ბნელ აზროვნებად და ობსკურანტიზმად მონათვლა. აი, ეს არის ალფა და ომეგა ყოველივესი, რასაც 2000-2012 წლებში ანხორციელებდა საქართველოში თანამედროვე მეხუთე კოლონა. ჯერ ერთმა ლამაზი ბაგე-კბილის მქონე ყმაწვილმა შეურაცხყო წმიდა თამარ მეფის სახელი, შემდეგ სხვამ – წმიდა ქეთევან დედოფალი, ქვეყნის „მთავარმა ანალიტიკოსმა" – ილია, თანამედროვე „მგოსანმა" – აკაკი და გალაკტიონი, გადასწვდენ რუსთაველსაც. ვინმე ბოთე ბლიყვირელი მთლიანად საქართველოს დედას აგინებდა საქვეყნოდ, ტელევიზიით, ცხადია იურიდიულად გამართული ფორმით, ვერავინ შეედავება და პასუხს ვერ მოსთხოვს – სიტყვის თავისუფლებაა ბატონო. მტერი კი ზის და იცინის, კვდება სიცილით! სწორედ ის – მეხუთე კოლონას, რომ აფინანსებს. მაგრამ, საქართველოს მტრებმა ბოლომდე ყველაფერი მაინც ვერ გათვალეს. ამ ახალი ბოლშევიკების ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლებმა მთელი ქვეყნის ისეთი ერთსულოვანი გულისწყრომა გამოიწვია, რომ მათ თითქოს უკან დაიხიეს, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხეს და ტაქტიკა შეცვალეს.

აღვირახსნილი ცილისწამება გრძელდება, ოღონდ უფრო შეფარული, ვირეშმაკული ფორმით. ეს ახალი „გულდათუთქული ლიბერალები" მართლმადიდებლობას აღარ იჩემებენ, რადგანაც უცებ გამოაშკარავდა მათი არამცთუ არამართლმადიდებლობა, არამედ საერთოდ - ელემენტარული ურწმუნოება (მართლმადიდებლები და საერთოდ რელიგიური ადამიანები არავითარ შემთხვევაშია არ მისცემენ თავს უფლებას კადნიერად ისაუბრონ ეკლესიაზე ან უხამსი წერილებით მიმართონ პატრიარქს). პიროვნების უფლება აქვს იყოს მორწმუნე ან

ათეისტი, ეს მისი ნებაა – მაგრამ მკითხველს იმიტომ „აბოლებდნენ" თავიანთი, ვითომცდა მართლმადიდებლობით, რომ უფრო სარწმუნო ყოფილიყო მათ მიერ პრესაში გამოქვეყნებული ცილისწამება - „საქართველო ღამის წალეკოს რელიგიურმა სიბნელემ და ქსენოფობიამ, ავადმყოფურმა მისტიციზმმა, რასიზმმა, ნაციზმმა" და ასეთი ბრალდებისთვის ილია ჭავჭავაძის სახელსაც იყენებენ: „დროა, ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ – ილია ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივ მოწყობის საკითხში დემოკრატიის გზას ადგა და რელიგიური პლურალიზმი ანუ სინდისის სრული თავისუფლების იდეას ქადაგებდა". აი, ახალი ამბავი. სწორედ ის არის, რაზეც ილია წერდა „ჭეშმარიტ ლიბერალებზე", რომლებიც ამტკიცებენ, რომ „დღისით დღეა და ღამით – ღამეო". მაგრამ მათ, თანამედროვე ბოლშევიკებს, ილიას სახელის ხსენების უფლება არ აქვთ, რადგანაც ისინი სწორედ იმას ცდილობენ, რასაც ილია ხმალამოწვდილი ებრძოდა – ისინი აღვივებენ რელიგიურ და ნაციონალურ შუღლს, როდესაც ჰებელსის სტილში (რაც უფრო დაუჯერებელია ტყუილი, მას უფრო იოლად იჯერებენ) ისეთ რამეს წერენ, რაც ყველაზე ნაკლებად ეხება ჩვენს ქვეყანას, ქართველ ერს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ თითქოს საქართველოში დამამცირებელ კონტექსტში ახსენებენ სომეხს, თათარს, ებრაელს, რუსს, რომ თითქოს რიყავენ არამართლმადიდებელ მოქალაქეებს და მართლმადიდებელ არაქართველებს რუსებს, ბერძნებს, ოსებს, აფხაზებს და „მათი სახით მტრის ხატს ქმნიან". სინამდვილეში ამას ეს ფაქტობრივად უსამშობლო ხალხი აკეთებს, სწორედ ისინი ჩასჩიჩინებენ ყველას, რომ მართლმადიდებლობა მათი მტერია, აშინებენ თითიდან გამოწოვილი საფრთხით და ახალი კონფლიქტების პროვოცირებას ეწევიან. თუ სჭირდებათ ეკლესიისადმი ნდობას ქურდული სამყაროს „პოპულარობასთან" აიგივებენ, როგორც ეს ერთმა მათი ბანაკის ფსიქოლოგმა ბრძანა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში - „მერე რა, რომ ეკლესიას ძლიერ ენდობიან, ქურდულ სამყაროსაც დიდი ავტორიტეტი აქვსო". და რა, წარბიც არ შეტოკებია... ამ ადამიანებს, რომ მართლმადიდებლობაზე ელემენტარული წარმოდგენა მაინც ჰქონდეთ, ეცოდინებოდათ, რომ მართლმადიდებლობა საერთოდ გამორიცხავს რელიგიურ აგრესიულობასა და ფუნდამენტალიზმს. შეიძლება ვინმე დამთხვეული მართლაც აგრესიულად იქცევა, შესაძლოა ისიც პროვოკატორობს, მაგრამ განა ესაა „კატასტროფული მასშტაბები"? ან იქნებ ვინმემ ახსნას: სად ხდება, რომელ ქვეყანაში, რომელი ტელეარხით ან პრესით „აგრესიული ნაციონალიზმის, ფუნდამენტალიზმის, საერო და საეკლესიო ობსკურანტიზმის პროპაგანდა"? იმას კი კარგად ვხედავთ, რომ ყალბად გაგებული თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებით სპეკულირებით მართლაც მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფოებრივი და ტრადიციული ღირებულებების დისკრედიტაცია, განგსტერული ქცევის პროპაგანდა, ნარკომანიისა და სქესობრივი აღვირახსნილობის დამკვიდრება.

იმისათვის, რომ გავერკვეთ თუ რამდენად „აგრესიულია" საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საკმარისია თუნდაც ეს მაგალითი. 1895 წელს კრწანისის ველზე პანაშვიდის გადახდის შემდეგ *„თვით ეკლესიაში წარმოსთქვეს სიტყვა: მღვდელ-მთვარმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა რუსულს ენაზედ, რომელშიც სხვათა შორის სთქვა, რომ ამ ასის წლის წინად,... ტფილისში ბევრნი სცხოვრობდნენ სომხებიც და თათრებიც და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მეფეს ბრძოლაშიო, მაგრამ მათში ისეთებიც ერივნენ, რომელთაც უღალატეს მეფეს... ჩვენ, დღევანდელ დღეს იმათი სულებიც შევავედროთ ღმერთს და შევუნდოთო".*

მოღალატეებსაც შევუნდოთო, აი, რას მოგვიწოდებს აგერ უკვე ათას შვიდასი წელია ქართული ეკლესია. და დღეს მავანი პუბლიცისტი, რომელიც, არ ვიცი, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელია თუ მეორე უძველესი პროფესიისა, აგრძელებს „ჯვაროსნულ ლაშქრობას" ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, ცილს სწამებს და ადანაშაულებს მას ამჯერად ანტისემიტიზმში, იმავდროულად ოსტატურად აბეზღებს ძლიერთა ამა ქვეყნის წინაშე - აი რანი არიან ქართველებიო, რითი სულდგმულობენ! თურმე საქართველოში „მწვანე შუქი ენთება ლოზუნგს ქართველი ერისა და ქართველი ერის ბუნებითად გამორჩეულობას, უპირატესობის, აღმატებულობის შესახებ". ქართველი ერი და ქართული ენა დიახაც გამორჩეულია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ენა და ერი. ნუთუ დანაშაულია ის, რომ საქართველომ უნდა იზრუნოს ქართული ენის დაცვა-განვითარებაზე? და განა საყოველთაოდ არ არის ცნობილი, რომ არსად მთელ მსოფლიოში არ ზრუნავენ სხვა ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და ენის განვითარებაზე ისე, როგორც საქართველოში (და ამით მართლაც გამორჩეულია ქართველი ერი). სხვა ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, მაგალითისთვის შეიძლება იმის გახსენებაც კმარდეს, რომ საქართველოში თითქმის ყველა ეროვნული უმცირესობის თეატრებიც კი წარ-

მატებით მუშაობს - სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, ქურთული. აფხაზური და ოსური ხომ თავისთავად. რაღაც არ მსმენია მსგავსი რამ ხდებოდეს არამცთუ ჩვენსავით გაჭირვებულ ქვეყნებში, არამედ თვით გაკრიალებულ ევროპაში. ეს, რათქმა უნდა ყველამ იცის, მაგრამ საქართველოს მტერს სხვა დავალება აქვთ - მართლმადიდებლობის დისკრედიტაცია და საქართველოში ოქროს კერპის გაბატონება; *აი, ასეთია ეს საქართველო. და ამის შემდეგ კიდევ ბედავს დახმარება სთხოვოს ვინმეს ამ ბანდიტურმა ქვეყანამ? ევროკავშირში და ნატო-ში შესვლა სურს, ცივილიზებული სამყაროს წევრობა? ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით!*

იმის მიხედვით, თუ როგორ უვლის და უფრთხილდება საზოგადოება, ერი თავის ისტორიულ მემკვიდრეობას, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ თუ რამდენადაა ეს საზოგადოება ღვთის ხატად შექმნილ გონიერ არსებათა ერთობლიობა. თუ იქნებ მართლაც ნადირთა ხროვა ვართ, მხოლოდ სალაფავისკენ მიდრეკილნი?!

1888 წელს, დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისთვის, ილია ჭავჭავაძე წერდა: *„... ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს”.* ხოლო სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილნი – *„უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა... დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი – საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი”.*

ილია მრავალჯერ უბრუნდება საკუთარი ისტორიისადმი ერის დამოკიდებულების საკითხს. გავიხსენოთ თუნდაც რამდენიმე ამონარიდი მისივე წერილიდან „ერი და ისტორია” – *„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრებისა აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა... ამისთანა [უისტორიო] ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის – ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება... თუ ესეთი არა, ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია;”*

საუკუნის წინათ დაწერილი ეს სტრიქონები დღეს განსაკუთრებული სიმწვავით გვესმის. მართლაც პირუტყვნი ხომ არ ვართ, რომლებმაც არ ვიცით ვინა ვართ, რისთვის ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ?

მხოლოდ „აღფრთოვანება” შეიძლება გამოხატო კაცმა, როცა შენი თანამემამულე ისეთ სიბრძნესა და გამჭრიახობას, პოლიტიკურ ალღოიანობას გამოიჩენს, როგორსაც იჩენენ ეს ახლად გამომცხვარი „თავისუფლების მებაირახტრენი”. როგორ ფიქრობთ, პატივცემულო მკითხველებო, რატომაა აღშფოთებული ფაქტობრივად მთელი საქართველო თანამედროვე ბოლშვიკების ურცხვობით? იმიტომ, რომ ამით თავსლაფს ვასხამთ ჩვენს ისტორიას და არ გვსურს დავემსგავსოთ *„უბინაო კაცსა, რომელმაც არ იცის – ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის”* და ამით ვემსგავსოთ მათ, ვინც *„ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება”?!*

არა, ჩემო ბატონო, ვერ გამოიცანით!

ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი... არ შედრკე მკითხველო,.. იმიტომ რომ ისინი, მთელი ეს საზოგადოება ანტისემიტები და რუსი შოვინისტები არიან!

დიახ, დიახ! სწორედ ასეა! ყოველშემთხვევაში ასე წერდნენ ამ რამდენიმე წლის წინათ კრწანისის ბაღში სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით: „მაგრამ გავიხსენოთ, რომ ბ-ნი მოსიაშვილი (სასტუმროს მშენებლობის მაშინდელი მესვეური) ისრაელის მოქალაქეა. ნაციონალიზმი ქართველებისთვის არასდროს ყოფილა უცხო ხილი. მაგრამ არასდროს მიუღია ანტისემიტიზმის სახე. მოდელის წარმოშობა აქაც აშკარაა: Бей жидов, спасай Россию”[3].

ხომ არ დამუნჯდი, პატივცემულო მკითხველო?.. კი, ასე წერია - „Бей жидов, спасай Россию” - ეს არისო მათი მიზანი. ყოჩაღ ბატონებო - აიდა Пушкин, ай-да сукин сын![4]

[3] გაზეთი „24 საათი”, 27 სექტემბერი, 2004 წ. გვ. 9

[4] ასე მიუმართავს „ევგენი ონეგინით” აღფრთოვანებულ პუშკინს საკუთარი თავისთვის, მას შემდეგ, როცა დაასრულა რომანის (Роман в стихах) წერა.

ერთი სასულიერო პირიც, რომელსაც წმიდა სინოდმა მღვდელმსახურება შეუჩერა, თუთიყუშივით ხომ სულ ამას იმეორებს – საქართველოს ეკლესია რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებსო. ვინძლო, დაუფასებენ ღვაწლს და ერთი-ორ ვერცხლს წაუმატებენ მის „ჰონორარს".

ნორმალურ ქვეყანაში ასეთ ადამიანებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ასცდებოდა ცილისწამებისა და ნაციონალური შუღლის გაღვივებისთვის მაგრამ ჩვენ ხომ უსუსურნი ვართ მსგავს სიტუაციებში. ფრანგი, ამერიკელი, სომეხი, რუსი ან თუნდაც ქართველი, რომ ყოფილიყო ინვესტორი, მაშინ რას დაგვაბრალებდით?! ნამდვილი აბსურდის თეატრია, არა?!

რა გითხრათ, რით გაგახაროთ – *„უბედურება რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის – ისიც არის, როცა ერთგვარ ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკური ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება. როცა ბეზღობა, - ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმომწონებითაც ფარფაშობს და ლუკმაპურს აწვდის მაბეზღარს, - მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებულაო*".

ამას ილია ჭავჭავაძე კატკოვის პასუხად წერდა. და შემდეგ:

„ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულისნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთან ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი. იმიტომ რომ მაბეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარაღაყრილია".

ბეზღობამ მიზანს მიაღწია, მთელი მსოფლიოს წინაშე გამოჩნდა საქართველოს და მართლმადიდებელი ეკლესიის „დემოკრატიისა და ისრაელის მოძულე და რუსული იმპერიალიზმის მოტრფიალე" სახე - ქირქილებენ საქართველო მტრები, ინდულგენცია საქართველოს ეკლესიის გასანადგურებლად გაცემულია.

გამიგია, რომ თითქოს მავანი პოლიტიკოსს ეთქვას „კომუნიზმის დამარცხების შემდეგ, ჩვენი მტერი მართლმადიდებლობაა". დაუჯერებელი გამონათქვამია, მაგრამ ზემოაღნიშნული „გაურკვეველი ორიენტაციის ადამიანები" თუ ახალი ქართველი ბოლშევიკები და ძმანი მისნი ისე შეხმატკბილებულად და დაუღალავი ენერგიით იბრძვიან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რომ დაეჭვდები კაცი, ნუთუ მართლა „ისინი" გვებრძვიან? ამ შემთხვევაში უფრო მეტი ძალისხმევა გვმართებს, მტრის სიმძლავრე ნუ შეგვაშფოთებს, ვინაიდან არამცთუ ეშმაკის მიმდევარი ურიცხვი ურდოები, თვით ეშმაკიც კი ვერაფერს დაგვაკლებს თუ ღვთის ჭეშმარიტი რწმენით ვიბრძოლებთ. ეს ჯერ კიდევ XII საუკუნეში იცოდნენ ქართველებმა, ხომ ყველა ნორმალურ ქართველს ახსოვს დავით აღმაშენებლის მიმართვა ქართველთა მხედრობისადმი დიდგორის ბრძოლის წინ...

ასე, რომ მთავარია - ***მამული, ენა, სარწმუნოება!...*** ეს კი არ მოსწონთ თანამედროვე ბოლშევიკებს თუ დაქირავებულ აგენტებს და მათ სამუშაოთა დამკვეთებს. არ მოსწონთ, რომ მრავალ საჭირბოროტო კითხვაზე პასუხს საქართველოს მოსახლეობა ქართულ ტრადიციებსა და ეკლესიაში პოულობს.

სწორედ ესაა, ასე რომ აშფოთებს საქართველოსა და მართლმადიდებლობის მტრებს!!!

გამოყენებული ლიტერატურა

- ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებების ხუთტომეული. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1987. ტ. 4, 5
- საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ქადაგებები. http://www.patriarchate.ge/?action=qadageba
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები: 8 ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1970.
- ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტიორია: 4 ტომად. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.
- გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია. „საერთო ნიადაგის კონცეფცია - სოლიდარული სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა თანამედროვე საქართველოში". გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2006.

ИНФОРМАЦИОННАЯ ВОЙНА ПРОТИВ ГРУЗИИ

ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ
Ассоциированный профессор ГТУ

В статье рассмотрена клеветническая кампания, которая особенно остро велась внутренними врагами против Грузинских национальных традиций и Православной церкви в течении 2000-2012 годов. Показано, что история Грузии фактически является историей единства светской и церковной жизни, что усиление веры в Грузии вызывала усиление государства и наоборот, ослабление государственности указывала на ослабления веры в народе. Подчеркивается, что грузинские национальные традиции и традиции грузинской православной церкви полностью сооответствуют общечеловеческим ценностям, а в некоторых случаях даже превосходят их. Разоблачены целы врагов Грузии – посредством дискредитации грузинской православной церкви и грузинских национальных традиций уничтожить грузинскую государственность.

INFORMATION WAR AGAINST GEORGIA

GIORGI BAGATURIA
Associate professor of GTU

There is considered in the article smear campaign which was especially sharply conducted by internal enemies against the Georgian national traditions and Orthodox church during 2000-2012. It is shown that the history of Georgia actually is history of unity of social and church life that belief strengthening in Georgia caused state strengthening and vice versa, weakening of statehood pointed to weakening of belief in the people. It is emphasized that the Georgian national traditions and traditions of the Georgian orthodox church are completely relevant to universal values and in certain cases even surpass them. Are exposed the aims of the enemies of Georgia – by means of discreditation of the Georgian Orthodox church and the Georgian national traditions to destroy the Georgian statehood.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეორე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი